№ 57 | 1877—1900 | № 57

ოთხშაბათი, 15 მარტი, 1900 წ. | | ოთხშაბათი, 15 მარტი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე?
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თაღეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსის შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი, გიორგიევის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.
(10—74—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჰ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი**. 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფა-სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, ოუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ტფილისის საგუბერნიო სამსაჯულო საქმეთა საკრებულოს მდივანი ნადვორნი სოვეტნიკი ალექსანდრე ყიფშიძე ახალციხე-ახალქალაქის განყოფილების მომრიგებელ შუამავლად.

ებოძა: სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი ასესორობა ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს ბებურიშვილს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა, კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს კეზელს, ცაგერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს მახარაძეს; ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ ყიფიანსა და მიქაბერიძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს—კოტეტაშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ახალსენაკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს—გვინჩიძეს, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს—შენგელიას; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს—აბულაძეს, გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელეს—ჟვანიას და თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველს—მაჭავარიანს.

ებოძა კურინსკის მე მე-79 რაზმის პოდპრაპორშჩიკს კალატოზიშვილს პოდპორუჩიკობა.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თანახმად თავისისავე თხოვნისა, ავადმყოფობისა გამო ახალციხე-ახალქალაქის განყოფილების მომრიგებელი შუამავალი სტატსკი სოვეტნიკი თულაშვილი.

## შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობისათვის შემოსწირეს: მკურნალმა მ. გედევანიშვილმა—ორი ყანწი, ბ-მა მ. ჯანაშვილმა—თავისი ახალი თხზულება თამარ მეფე, (царица Тамара) ათი ცალი.

## ახალი ამბავი

*** რადგანაც ახალციხე-ახალქალაქის განყოფილების მომრიგებელ შუამავალმა ბ-ნმა თულაშვილმა ავადმყოფობისა გამო თავისს თანამდებობას თავი დაანება, მის ადგილზედ კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავადის გოლიცინის ბრძანებით დაინიშნა საგუბერნიო სამმართველოს გლეხთა საკრებულოს მდივანი ბ-ნი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ 13 მარტს მომხდარ კრებაზედ მოისმინა მეეტლეების თხოვნა იმის შესახებ, რომ ცხენებზე გაწერილი გარდასახადის შემოტანის ვადა გადადებულ იქმნას და გამგეობის წინადადების თანახმად, დაადგინა, 1 აპრილამდის მიეცეთ ფულის შემოტანის

## ფელეტონი

### ჯავახეთის ავ-კარგი

სოფ. ჩუნჩხა და მდინარე თაფარავანი. —ჩუნჩხელების სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზი.—ჩუნჩხაში კაცის კვლა. —ღარიბ-ღატაკების სახნავი მიწა მდიდარ ჯავახებს უვარდებათ ხელში და პირველნი ამის გამო მათხოვრობას ჰკიდებენ ხელს და ჰკუაზედაც იშლებიან..—ჯავახეთის ბევრს ქართველ სოფელში მიწის ძვრისაგან მომხდარი უბედურება ისე მიიღეს, როგორც შორეულ ინდოეთში, ან ჩინეთში მომხდარი ამბავი და არაფერი გულშემატკივრობა არ გამოიჩინა დაზარალებულებისადმი.—„ტირაცოების“ გავლენა.

ს. ჩუნჩხა ჯავახეთში ერთი ქართველთ სოფელთაგანია. მდებარეობს იგი ქ. ახალქალაქიდგან ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს ათის ვერსტის მანძილზედ, მდინარე თაფარავნის ხეობის მარჯვენა პირას, ვაკე, მაგრამ კლდიან მინდორზე და გადაჰყურებს როგორც თვით ხეობას, რომელზედაც მოიკლაკნება ახალციხე-ახალქალაქის საფოსტო გზა-ტკეცილი, აგრეთვე მდ. თაფარავანს, იმ თაფარაკანს (ამ მდინარეს თაფარავანი იმიტომ ეწოდება, რომ სათავე იწყობა-გადმომდინარეობს თაფარავნის ტბიდგან), რომელიც არა ნაკლებ არაგვისა მოჰქუხს-ჰღრიალებს, მეტადრე წყალ-დიდობის დროს, და მიყრუებულ ხეობას და მინდვრებს ჰფენს ხმაურობას. ადამიანი ამ ხმაურობას ბარე 5—6 ვერსტის მანძილზედაც გაიგონებს, მეტადრე წყნარ ღამეში. ვგონებ არაგვზედაც ღონივრად მომდინარე უნდა იყოს ეს თაფარავანის-მდინარე (თაფარავან ჩაი). ამის კალაპოტი ერთიან დიდრონი კლდე-ლოდნარით არის სავსე, რომელზედაც დაუცხრომლად მოსჩქეფს წყალი, ქაფდება და მუდამ თეთრად ნადუღი წარმოგიდგებათ თვალ-წინ. ისეთი ძრიელი ღონე აქვს ამ მდინარეს, ისეთი კლდე ლოდიანია, რომ არამც თუ წყალ-დიდობას, გაზაფხულზედ, ზაფხულშიაც, როცა წყალი ვარდება თავისს კალაპოტში, ადამიანი ყველგან ვერ მოახერხებს გასვლას. ისტორიულადაც ეს მდინარე, როგორც ვიცით, ბევრის ავკარგის მოწმეა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე იგი მივიწყებულ მიგდებულია და ორიოდე ღირს-შესანიშნავი სიტყვითაც-კი არავის მოუხსენებია იგი.

ამ მდინარის ხეობის ორთავე ნაპირები, თაფარავნის ტბიდგან დაწყებული, ვიდრე დაბა ხერთვისამდის, ბევრს ადგილას მოფენილია ქართველ ხალხის ნასოფლარებით და ბევრ მშვენიერ ძველ ეკკლესიებით, რომლებიც გაღმა-გამოღმიდგან ერთმანეთს გაჰყურებენ იდუმალ.

დიახ, თაფარავნის მდინარის კიდეებიც, როგორც არაგვისა და სხ., ქართველების უმანკო სისხლით არის მორწყული. ამავე მდინარის ხეობით ჩვენი მოციქულთა სწორი ქართველთ განმანათლებელი წმ. ნინო დაადგა თაფარავნის ტბიდგან, ჩამოვიდა დ. ხერთვისში, სადაც მდ. თაფარავანი ერთდება მტკვარს და ამ უკანასკნელმაც ჩამოიყვანა იგი ბორჯომის ხეობით ქართლში. ამ მდინარის პირ-პირ მიმავალ გზა-ტკეცილზედ გამვლელ-გამომვლელმა მგზავრებმა, მეტადრე თუ ქართველები არიან, თაფარავნის მდინარეს და იმის გაღმა-გამოღმა ზემოდგან გადმომყურალე ნასოფლარ-ნასაყდრევებს ისრე-კი არ უნდა შეჰხედონ, როგორც არაფრით შესანიშნავს, არამედ მათ უნდა წარმოიდგინონ, რომ თუ იყო სადმე ჭეშმარიტი ქრისტიანობა, მამულიშვილობა, სულიერად და ზნეობრივად ხალხი დაწინაურებული, ამ მდინარის გაღმა-გამოღმა მდებარე ქართველ ჯავახების სოფლებში იყო.

დღეს, ამ მდინარის ხეობის ნაპირებზედ, მხოლოდ ორი-სამი ქართველთა სოფელი-ღაა დარჩენილი; სხვა სოფლები ზოგი ან ერთიან შემუსრვილა მტრის ხელიდგან, ზოგიც მხოლოდ მცირედი, გახიზნულა, გადავარდნილა და დასახლებულა საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეს.—ერთი ზემოხსენებულ ორ-სამ სოფელთაგანი სოფ. ჩუნჩხაა დღეს მდ. თაფარავნის ხეობის პირას. ამ სოფელში მოსახლობენ უხსოვნელ დროიდგან ქართველები, რიცხვით დღეს 45 კომლამდე. ესენი, როგორც სხვა ყველა ჯავახები, მისდევენ უმთავრესად ხვნა-თესვას და შინაურ საქონლის მოშენებას. ჩუნჩხელებს, იმდენი სახნავ-სათესი მიწა უგდიათ ხელში ჟამთა ვითარების გამო, რომ ძნელად თუ სადმე მოიპოვება იმისთანა სოფელი, რომელსაც ამოდენა მიწა ეკავოს. მიწის ნიადაგი და შეწყობილი ჰავა ჩუნჩხისა მეტად ხელს უწყობს პურ-დიკა-ქერის უხვს მოსავალს. სხვა ჯავახელების სოფლებთან შედარებით, ჩუნჩხაში კარგა ბლომად მოდის ქერი და დიკა და ყოველ წელს ბევრსაც ჰყიდიან აქაურები. ამიტომაც არის, რომ მომეტებული ნაწილი ჩუნჩხელ გლეხებისა მეტად მდიდარია ფულით და სარჩო-საბადებლით, თუმცა-კი ტანისამოსით, სისუფთავით და სახლ-კარის გამართულობით უკანასკნელი ღარიბები გეგონებათ, ბევრს ამათგანს შემნახველ-დამზოგველ კასსებშიაც ასობით და ათასობით აქვს შენახული ფული. ჩუნჩხაში ღარიბებიც მოიძებნებიან, მაგრამ ესენი თავიანთ სიღარიბეს სხვას არ ატყობინებენ და თავიანთი შეძლებული მეზობლებისაგან იმართავენ ხელს პურით იქნება თუ ფულით, მხოლოდ მამა-სისხლური 20% ით. თუმცა ადგილობრივმა პოლიციამ და მთავრობამ მრავალჯერ გამოუცხადა ხალხს, რომ 20%-თ ფულის სესხება აკრძალულიაო, მაგრამ ეს ვაჭბატონები მაინც თავისას არ იშლიან. გაჭირვებულმაც რა ჰქმნას, როდესაც ცხოვრება ძალას ატანს, სახსარი არ მოეძებნება და ათასი ხარჯი-ბორჯი აქვს გასასტუმრებელი? მეტი ღონე არ აქვს, უნდა მიჰმართოს მოვახშეებს და აიღოს ვალი მათგან ოცი „პროცენტით“.

ბევრის ჩუნჩხელის სიმდიდრის მიზეზი არის ბევრი მიწა-მამულის ხელთ გდება, ხოლო ბევრის ღარიბობისა

ვადა. შეწყნარებულ იქმნა აგრეთვე გამგეობის წინადადება, რომ გრიგოლ პაატოვზე დარჩენილი 1897 წლის სატრაქტირო გადასახადი 35 მან. გამორიცხულ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვიდან, რადგან პაატოვი უკვე გარდაიცვალა და არავითარი ქონება არ დაუტოვებიაო. სააუქციონო სახლის გამგის შუამდგომლობა, რომ ქალაქმა მუქთად დამითმოს საცხოვრებლად ბინაო, უარ ყოფილ იქმნა. შემდეგ კრებამ მოისმინა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადება და დაადგინა, რომ საბებიო ინსტიტუტში ერთის ავადმყოფის შესანახად 180 მანეთის ნაცვლად ყოველ წლობით 220 მანეთი გადაიდვას. აგრეთვე დამტკიცებულ იქმნა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის ნიხრი. დასასრულ საბჭომ მოისმინა განსაკუთრებული კომისიის მოხსენება უსუფთაობის არხების გაყვანის შესახებ ქალაქში და გამგეობის აზრი ამავე საგნის შესახებ. ამ საქმის განხილვა და საბოლოოდ შემუშავება მიენდო იმავე კომისიას და გამგეობას.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დიდძალი კანაფის თესლი მიუღია ლენქორანიდგან გასასყიდად. საზოგადოების ბიუროს საგანგებოდ გამოუწერია ეს თესლი, რადგანაც ამ ბოლოს დროს სოფლის მემამულენი ხშირად თხოულობენ დასათესად.

⁂ გუშინ, 14 მარტს, ბილგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენილმა ა. კ. რობიმ უკვე მოაწერა ხელი ქალაქთან დადებულ ხელშეკრულობას ცხენის რკინის გზის კონცესიის გადაძლევის შესახებ; ამასთან რობიმ წარადგინა გამგეობაში 50,000 მანეთი წინდად. ხელის მოწერის შემდეგ ბ-ნმა რობიმ შეიტანა აგრეთვე ქალაქის კასაში ის—30,000 მანეთი, რომელიც გამგეობამ დახარჯა 1898 წელს ცხენის რკინის გზის მოსაწყობად.

⁂ ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა სრულიად სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I. კათალიკოსი უკვე გამომგზავრებულა ეჩმიაძინიდგან. რამდენსამე ხანს კათალიკოსი ერევანსა და სხვა ქალაქებში დაჰყოფს.

⁂ როგორც ვუწყით, ტფილისში შემოდგომიდგან დაარსებული იქმნება საკომერციო სასწავლებელი. უკვე მრავალს მიუმართავს სასწავლებლის დირექტორისათვის და უთხოვნია სასწავლებელში მიღება. დღემდე დირექტორს 120 ასეთი თხოვნა მიუღია.

⁂ სამტრედიაში აზრადა აქვთ დააარსონ უფასო სახალხო სამკითხველო. სამკითხველოს დაარსების ნება-რთვა უკვე აუღიათ.

⁂ კავკასიის სამოსწავლო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ ტფილისის რეალურ სასწავლებელში ინსპექტორის მეორე თანამდებობა იქმნას დაწესებული. ამ ჟამად სასწავლებელში 750 მოსწავლეა და ერთი ინსპექტორი ყველა საქმეებს თავს ვერ ასდის.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოთი-სამტრედიის ნაწილზედ 13 მარტიდგან მატარებლის მიმოსვლის წესი შეცვლილ იქმნა: სამტრედიიდგან მატარებელი გავა: № 17—დილის 5 საათსა და 3 წუთზედ, № 19—შუადღის 12 საათსა და 40 წ. და № 23—საღამოს 7 საათსა და 20 წუთზედ; ხოლო ფოთიდგან: № 18—ნაშუაღამევის 1 საათსა და 10 წუთზედ, № 20—დილის 6 საათსა და 20 წუთზედ, და № 24—საღამოს 9 საათსა და 48 წუთზედ.

⁂ კვირას, 12 მარტს, მოხდა ტფილისის დიდათა მესამე გიმნაზიის საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება. როგორც ამ კრებაზედ წაკითხულ, წარსულის 1899 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას საანგარიშო წელს ჰყოლია სულ 534 წევრი. წლის განმავლობაში საზოგადოებას დაუხარჯნია ღარიბ მოსწავლეთ ის სასარგებლოდ სულ 3575 მან. 25 კაპ., დაჰრჩენია საზოგადოებას 11922 მან. 16 კაპ., აქედგან 10,000 მან. სესხად მიუცია გიმნაზიისთვის მიწის სასყიდად. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ამასთან დაადგინა, დარჩენილი 800 მან. მიემატოს ხელ-უხლებელს თანხას, რომელიც ამ ჟამად 9,545 მანეთამდე იქმნება. შემდეგ კრებამ დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ შემოსავალი საზოგადოებას ექმნება 3500 მან. და ხარჯი კი 3225 მან. დასასრულ კრებამ ამოარჩია საზოგადოების გამგეობის წევრებად ბ-ნი ნ. ვ. სტრუვე და ა. ს. გუმილევსკი.

⁂ როგორც „ცნ. ფურც." გაუგონია, შორაპნის მაზრაში, სადგურ ძირულას მახლობლად, სოფ. უბისიდგან სამის ვერსტის მანძილზე ქვანახშირის მდიდარი მადანი აღმოჩენილა.

⁂ ტფილისის რკინის გზის სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი იაკოვლევი ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მასწავლებლად მიუწვევიათ.

⁂ ახალქალაქის ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორი ბ-ნი გუგასიანცი გადაყვანილ იქმნა გორის მაზრის ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორად, ხოლო შემახის მაზრის ინსპექტორი ტიხენკო—ტფილისის მე-3 ნაწილის ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორად.

⁂ შორაპანი. აქაურს სოფლებში ხშირად ბევრი რამ იკარგებოდა ხოლმე, მაგრამ არც მოპარული ნივთებისა და არც თითონ ქურდების ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. ბოლოს შორაპნის პოლიციის ბოქაულმა დაათვალიერა შორაპნის ციხე და მრავალი ნივთი იპოვნა იქ დამალული—ხალიჩები, ფარდაგები, ფარჩის კაბები და სხ. ბ-ნმა ბოქაულმა ეს ნივთები მოაგროვა და თავისის კანცელარიაში წაიღო კუთვნილებისამებრ დასარიგებლად.

⁂ ს. წევა, (შორაპნის მაზრა). აქაური ნაქები ვენახები დღეს სამწუხარო მდგომარეობაშია, რადგან ფილოქსერამ გაანადგურა იგი. ხალხი გულმოდგინედ შეუდგა ამერიკულ ვაზის მოშენებას და შეიძლება რამდენისამე წლის განმავლობაში ამ შრომამ ნაყოფი გამოიღოს, თუ რიგიანი ხელმძღვანელი ეყოლა ხალხს და ყველა ჯიშის ვაზისათვის შესაფერისი ადგილი უჩვენა.

## ბ-ნ ყველგანმყოფის წერილის გამო.

გაზეთ „ივერიის" მე-37 და 38 ნომრებში დასტამბულია ორი ფელეტონი ბ-ნის ყველგანმყოფისა შემდეგის სათაურით: „რა გავაკეთოთ მეოცე საუკუნის დამდეგში მაინც". ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ამ ფელეტონების შესახებ.

კარგა ხანია, ჩვენს საზოგადოებაში და გაზეთებში აღიძრა სჯა-ბაასი შეერთებულის მოქმედებისა და ადებ-მიცემობის შესახებ. აქვე აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებაც, თუ რომელი ამხანაგობა და ადებ-მიცემობა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, გამზიდავი, ე. ი. იმნაირი, რომელსაც საგნად ექნება ჩვენის ნაწარმოების გაზიდვა სხვა ქვეყნებში და ბაზრის მოპოვება, თუ შემომტანი, ე. ი. რომელსაც საგნად ექნება მაღაზიების გამართვა და სხვა ქვეყნებიდგან მოტანილი საქონლის გაიაფება და ჩვენი საზოგადოებისთვის მიწოდება. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ერთიც უნდოდათ და მეორეც ერთად, მაგრამ უპირატესობას მაინც მაღაზიის გამართვას აძლევდნენ და არა ნაკლებ კოშკების აგებას გვპირდებოდნენ, ვიდრე ბ-ნი ყველგანმყოფი.

დაარსდა ორსავე ტიპის პატარა ამხანაგობანი: ორი აბრეშუმის გამზიდავი ამხანაგობა, კახეთის მევენახეთა ამხანაგობა და სხ.

გაიმართა აგრეთვე მაღაზიები: მაჩხაანისა, „შუამავლისა" ტფილისში და გურიის „შუამავლისა" საჭილაოში. გავიდა ორი-სამი წელი, აბრეშუმის ამხანაგობებმა და კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ სასურველი და სასიხარულო ნაყოფი მოიტანა, საზოგადოების ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა და შემდეგში კიდევ მეტს გვპირდებიან. ახლა მივიხედოთ მაღაზიებისაკენ: საჭილაოს მაღაზიამ უკვე თქვენი ჭირი წაიღო და ვიდრე იყო, ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა; მაჩხაანის და ტფილისის მაღაზიები თუმცა არ გაუქმებულა, მაგრამ ისეთის კუს ნაბიჯით მიხოხავენ, რომ მათი დღე დათვლილია. ამ პატარა გამოცდილებამ, ჩემის აზრით, ნათლად დაგვანახვა, თუ როგორი და რა ტიპის ამხანაგობანია ჩვენთვის საჭირო. ამ პატარა, მაგრამ დამაფიქრებელ გამოცდილების მიუხედავად, ბ-ნი ყველგანმყოფი უმთავრეს სარგებლობას ტფილისში მთავარ დეპოს დაარსებაში ჰხედავს. მისის აზრით, მაშინ ქართველების ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. მაგრამ ნამდვილად-კი ასეა?

ჯერ, სხვა არა იყოს-რა, ხალხის ეკონომიური წარმატება შემოტანილ საქონლის გაიაფებით რომ ვზომოთ, სასაცილო იქნება, და, მეორე, შემოტანილი საქონელი ჩვენში ისეც იმოდენად იაფდება, რომ, არა მგონია, ჩვენმა დეპომ რამე ცვლილება მოახდინოს. ვთქვათ, შევკრიბეთ ოცი ათასი თუმანი, როგორც ბ-ნი ყველგანმყოფი ჰბრძანებს, გავისხენით ერთი ამდენივე კრედიტი და დავაარსეთ ტფილისში მთავარი დეპო, ანუ, უფრო მდაბიურად რომ ვსთქვათ, გავხსენით ერთი ისეთი საკუჭნაო სახლი, რომლის მსგავსიც ტფილისში საკმაოდ მოიპოვება, და გვგონია თუნდ ბ-ნი ყველგანმყოფი დავსვათ, ეს ნატვრა რომ აგვისრულდეთ ბ-ნ ყველგანმყოფს, შეიძლება, პირველად მართლა ბევრს რასმე დაგვპირდეს, მაგრამ ნამდვილად-კი ვერაფერს კვალს ვერ დაასჩენს ჩვენს საზოგადოებას, მხოლოდ მოგვემატება ტფილისში ერთი მაღაზია, რომელიც ვერავითარს გავლენას ვერ იქონიებს ტფილისის ვაჭრებზედ და ვერც ეხლანდელ არსებულ ფასებს შესცვლის; მხოლოდ თუ კარგი და გამოცდილი მეთაური შეხვდა, იმ შემთხვევაში, შეიძლება 10—15% მოგება აძლიოს წევრებს წლის დამლევს. ვისაც მართლა გარეგან შეუხედავს, ანუ თეორიულად შეუსწავლია ჩვენში შემოტანილ საქონლით ვაჭრობის საქმე, შეიძლება არ დამეთანხმოს და, ვინ იცის, ტფილისელ ვაჭართა მომხრეობაც-კი შემწამოს, მაგრამ ვისაც პრაქტიკულად გამოუცდია, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმება. ტყუილად რომ რწყილი აქლემად ვაქციოთ, საზოგადოება შეცდომაში შევიყვანოთ და შემდეგ ეს ჩვენი აქლემად ნაქცევი რწყილი ისევ რწყილად გადაგვექცეს, ეს ხომ მარტო ჩვენისავე თავის მოტყუება იქნება და შეიძლება საზოგადოების მიერ ამგვარ

---

—ამავე სახნავ-სათესი მიწის ფრიად სიმცირე. აქ არიან იმისთანა ოჯახები, რომლებიც შესდგებიან 2—3—4 სულის ადამიანისაგან და უკავია 30—40 დღიურზედ მეტი მიწა, ხოლო არიან 12—15—20 სულიანი ოჯახები, რომლებსაც უკავიათ თითოეულს მხოლოდ 10—15 დღიური. აი უმთავრესი მიზეზი ჩუნჩხელების სიმდიდრისა და სიღარიბისა. მიწა-ნაკლები ოჯახები თუმცა მუდამ ებუზღუნებიან მიწა-მრავლიან ოჯახებს და სთხოვენ კანონიერად განაწილებას მიწისას (ჩუნჩხა სახელმწიფო სოფელია), მაგრამ იმათ ეს სიცილადაც არა ჰყოფნით. ასეთი მათი საქციელი მათის გასუქების ბრალია: ამნაირად გამდიდრებული გლეხი აბა რას შეეპოვება გაღატაკებულ მეზობლის ბუზღუნს. ან როგორ შეასმენ ამნაირ ქონ-მობმულ, გაურკვავ-გაუსხვეპავ და უსწავლელ ჯავახს, რომ კანონით და სინიდისით იგი მოვალეა თავისი მომაკვდავი ღატაკი მეზობელი ფეხზედ წამოაყენოს, აქამდის თუ თითონ სარგებლობდა სახელმწიფო მიწით, ეხლა მისთვის კიდევ რაც სამყოფია დაიტოვოს და მომეტებულ მოჭარბებული მიწა თავის გაჭირვებულს მეზობელს გარდასცეს.

პატარაობისას გამეგონა, რომ ჩუნჩხისთანა მშვიდი, სათნოიანი, ქველმოქმედი სოფელი მთელს ჯავახეთში არ მოიპოვებაო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ახლა ვეღარ ვხედავთ. ის ხალხი, რომელიც შემკული იყო სათნოებით და კაი კაცობით, აღარ არის. ეხლანდელებს შორის ტრიალებს შური, მტრობა, დას-დასად დაყოფა, ერთმანეთის გაუტანლობა და, წარმოიდგინეთ, საზიზღარი კაცის კვლაც-კი სულ უბრალო რამის გამო: ამ რამდენისამე დღის წინად ჩუნჩხაში მომხდარმა კაცის კვლამ ნათლად წარმომიდგინა, დამანახვა ის ჩემი „აღდგომა დღეს" (სურათი ჯავახელების ცხოვრებიდგან), რომელიც „ივერიაშიც" იყო დაბეჭდილი და რომელშიაც ნათქვამია, რომ ორმა ჯავახმა ზედ აღდგომა დღეს წითელი კვერცხის გულისთვის,—კვერცხი რად გამიტეხეო, გამართა უგუნური ჩხუბი, რომელსაც ბოლოს კაცის კვლა მოჰყვა. ამ სურათში ერთმა ჯავახმა მოჰკლა მეორე ერთის კვერცხის გულისათვის, ხოლო სოფ. ჩუნჩხაში ერთმა მეორე მოჰკლა ერთის კაკლის გულისათვის, რომელიც ორ შაურადაც არა ჰღირდა. აი ნამდვილად ეს საქმე როგორ იყო:

22 წარსულ დეკემბერს, როდესაც მთელი ჯავახეთი მიწისძვრისაგან შეშინებული და სისხლით მორწყული იყო, როდესაც მრავალი სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და ადამიანი ბუნების მოვლინებულმა საშინელმა სტიქიონმა—მიწისძვრამ—იმსხვერპლა, ახალგაზდა, ასე 19 წლის, გიორგი ბერიძე, დილა ადრიანად ჩავიდა ს. ჩუნჩხის ხრამში სოფლისა და მდ. თაფარავნის შუა მდებარე გვერდოზედ, რათა ენახა—გაება თუ არა მისს დადგმულ მახეში კაკაბი (ამ ხრამში ზამთრობით კაკაბს ამ რიგად იჭერენ). ჩასვლისავე მან დაინახა მახესთან მდგომარე თავისივე მეზობელი ა. თოთაძე, რომელიც თურმე მახეში გაბმულის კაკბების მოსაპარავად ჩაჩვეულიყო. გიორგი ბერიძეს და ამ არჩილ თოთაძეს მოუვიდათ ჩხუბი და ამ ჩხუბში არჩილ თოთაძემ გადმოიღო მხრიდგან თოფი, რომელსაც თურმე ატარებდა თან, ხრამში როცა წავიდოდა,—დაუმიზნა, ესროლა და საწყალი ახალგაზდა გიორგი იქვე უსულოდ გააგორა. გიორგი მეტად უწყინარი და მშვიდი ახალგაზდა იყო, ხოლო არჩილ თოთაძე წარსულ ზაფხულსაც პასუხის-გებაში იყო კიდევ კაცის მოკვლის განზრახვისათვის და თავდებობით იყო გამოშვებული ციხიდგან. მოკლულის გიორგის გვამი იქვე უნდა გდებულიყო, სადაც მკვლელობა მოხდა, იქამდის, ვიდრე მაზრის ექიმი და გამომძიებელი არ მოვიდოდნენ. საქმე მოხდა იმ დროს, როდესაც მთელი სამაზრო და საგუბერნიო მთავრობა გართული იყო მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ხალხის ზრუნვაში და ვის ეცალა ჩუნჩხაში კაცის კვლის საქმისათვის. მიცვალებული ხრამში ესვენა ხუთ-ექვს დღე-ღამეს და ამ ხნის განმავლობაში დარაჯობა უნდა გაეწიათ მოკლულის გვამისათვის. თუმცა ჩუნჩხელების თითეულს კომლს ორ-ორსამსამის საათის დარაჯობა არც-კი დასჭირდებოდა, მაგრამ, დიდი ჩხუბი, აყალ-მაყალი და ერთმანეთის გინება ასტყდა ამის გამო. იყვედრებოდნენ, ამუნათებდნენ მიცვალებულის პატრონს, რომ ჩვენ ვდარაჯობთ შენს მიცვალებულს ამ ყინვიან ზამთარშიო. ამ სურათს რომ ვუცქეროდი, ცალკე მიწის ძვრისაგან დაზარალებული ხალხის სიბრალულით და ცალკე გიორგი ბერიძის მოკვლით გული მებასრებოდა.

არა ნაკლებ სათლელ-საჭმელ დუმად გამხდარა ღარიბ-გაჭირვებული ხალხი შეძლებულებისაგან სხვა სოფლებშიაც. ამ ვაჟბატონებს საქმე იქამდე მიჰყავთ ხოლმე, რომ ძალაუნებურად მათ ხელში ჩავარდნილმა მსხვერპლმა,—ღარიბმა ჯავახმა,—ხელი უნდა აიღოს ერთად ერთ თავისს ოჯახის ცხოვრების სახსარზედ,—ორიოდე დღიურ მიწაზედ,—და მოვახშე-მეზობელს დაუსაკუთროს სამუდამოდ ვალში, ან არა და ეს ორიოდე დღიური მიწა მიჰყიდოს სხვას სულ ნახევარ ფასად და აღებულის ფულით მოვახშე გაისტუმროს. ამ გვარად ღარიბი ჯავახი ორნაირად ზარალდება: 1) თავისის სიცოცხლის დროს, როდესაც მიწა აღარა აქვს, უფრო უკიდურესს სიღატაკეში ვარდება და ლუკმა-პურის შოვნა უძნელდება. ბოლოს იქამდე მიაღწევს ხოლმე, რომ ან მათხოვრობას უნდა მიჰყოს ხელი, ან რაიმე საძრახისს საქმეს. 2) მისი ახალი მოზარდი შვილები სამუდამოდ რჩებიან უმიწა-წყლოდ და სხვის ხელში შემაცქერალნი. ამ ნაირად, უბინაოდ და უმამულოდ დარჩენილები ეხვევიან აქა იქ წანწალს, ლაზღანდარო-

საქმეებზედ გულის ყურს მოჰყვეს. ჩემის აზრით, თუ რომ გინდა რაიმე საქმე გავაკეთოთ და საზოგადოების ნდობა დავიმსახუროთ, სიტყვით ცოტას უნდა დავჰპირდეთ და საქმით-კი მეტი გავაკეთოთ.

ბ-ნ ყველგანმყოფის აზრით, ტფილისიდგან საქართველოს ყველა კუთხეში დაიბარებენ საქონელს. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ გადასახად გარდასახადს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ რუსეთიდგან, ან საზღვარ-გარეთიდგან მოტანილი საქონელი ქუთაისისკენ ვეღარ წამოვა, ამისათვის რომ ხელს არ მისცემს, იმავე გარდასახადის წყალობით. ეგევე ითქმის ბაქოსა და განჯაზედაც, რადგან პირდაპირ საქონლის მიღება მათთვისაც უფრო სახეიროა.

დღემდის ერევნისა და ყარსის გუბერნიების ვაჭრები ტფილისიდგან ეზიდებოდნენ საქონელს, მაგრამ ეხლა, რადგან ყარსის რკინის გზაა, არც ერთიდ ვაჭარს ხელს არ მისცემს ტფილისიდგან საქონლის დაბარება. ასე, რომ ტფილისის დეპოს, არა მგონია, ახლო-მახლო დაბა სოფლებს გარდა ვისმეს რაიმე მიაწოდოს და მიჰყიდოს, მეტადრე უფრო დაკლებულ ფასად, ვიდრე დღეს ისყიდება ტფილისში. ჩემის აზრით და მცირე გამოცდილებით, ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის ისეთის ამხანაგობების დაარსება, რომლის პროგრამაშიაც უმთავრესი ნაწილი შემოტანილ საქონლით ვაჭრობას ეძნება დათმობილი.

ეხლა დავუბრუნდეთ იმ ადგილს ფელეტონისას, სადაც ბ.ნ ყველგანმყოფს მოჰყავს პატივცემულ ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები, ამოწერილი მოამბის მე-8 და მე 9 ნომრებიდგან 1895 წლისა: „მრეწველობის უქონლობა, ცხადია, უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამორჩენისა და უკან ჩამორჩენისა, იმ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩინო, არც გონებრივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკურ მხრივ, ვიდრე ის მრეწველობის საშუალებით ეკონომიურ მონობიდგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდგან. აიღეთ, რომელიც გსურდეთ, იმ ერის ისტორია, ყველგან ცხადათ დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება ალებ-მიცემობას, მრეწველობის ზედ-დართული შედეგი ყოფილა და სხ." ახლა ვკითხოთ ბ-ნ ყველგანმყოფს: სად არის ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ამ მართლაც და ჭეშმარიტ და უტყუარ სიტყვებში ის აზრი, რომ ან დეპო ან მისი მგზავსი-რამ სხვა დავაარსოთ, რომელმაც საზღვარ-გარეთიდგან და რუსეთიდგან საქონელი მოგვაწოდოსო? ბ ნი ნიკოლაძე გვბრძანებს: „გავავრცელოთ და ავაღორძინოთ მრეწველობა და თავი ვიხსნათ უცხოეთის მონობისაგანაო", და თუ მართლა გვყავს გულ-შემატკივარნი, თუ შეგვიძლიან რისიმე შექმნა, რაიმე ამხანაგობის დაარსება, თუ გვსურს წინ ფეხი გადავდგათ, ისეთი ამხანაგობანი უნდა დავაარსოთ, რომელთაც სამირკვლად სავსებით ბ-ნ ნ. ნიკოლაძის სიტყვები ეძნეს. ჩვენი მისწრაფება, ჩვენი ძალ-ღონე და ჩვენი კაპიტალი, თუ-კი რასმეს მოვახერხებთ, უნდა მოხმარებულ იქმნეს: 1, მრეწველობის გასავრცელებლად; 2, ჩვენის ნაწარმოებისათვის ბაზრის მოსაპოვებლად და მეურნეობის განსავითარებლად. ეს მესამე დამოკიდებულია პირველისა და მეორეს წარმატებისაგან, იმისათვის, რომ, თუ კი ნაწარმოებს ბაზარს უშოვნით, ცხადია, მეურნეობაც წინ წავა. უთუოდ, ბ-ნი ყველგან მყოფი მიპასუხებს, რომ მეც ეს მინდოდა, მეც ამას ვამბობდიო. დიახ ჩვენ ორივენი ერთისა და იმავე აზრისანი ვართ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თქვენი უმთავრესი აზრია ტფილისში შემოტანილ საქონლით ვაჭრობის გამართვა, მე-კი წინააღმდეგი ვარ იმისი; თქვენი სურვილია, რომ რაღაც ისეთი რამ უზარმაზარი რამ შეჰქმნათ, რომ მთელის საქართველოს სიმდიდრე შიგ ტრიალებდეს და რაღაც მანქანებით მთელის ქვეყნის ბედ-იღბალს ატრიალებდეს, ასე გასინჯეთ დეპოების ნოქრებს ათასგვარ სწავლა-ცოდნის გავრცელებას და შეკრებასაც-კი ავალებთ. ჩემის აზრით-კი ყველაფრის ერთად არევა და წარმოება ყოვლად შეუძლებლია და გაუწყდომელი. ჩვენთვის საჭიროა ისეთი ამხანაგობები, რომელსაც საგნად ექმნება ცალ ცალკე თითოეულის დარგის წარმოება, გამზიდავი იქნება ის, თუ სამრეწველო, სულ ერთია. ბ-ნი ყველგანმყოფი საზღვარ-გარეთისაკენ გვითითებს და გვაუწყებს, რომ იქ ბევრი ამხანაგობაა დაარსებულიო. დიახ, ბატონო, გერწმუნებით, რომ ბევრი ამხანაგობაა, მაგრამ, არა მგონია, ისეთი რამ იყოს, როგორსაც თქვენ გვირჩევთ, ე. ი. მაღაზიებიც ჰქონდეს, ყოველგვარი ქარხნებიც გამართული, ყოველგვარ სოფლის ნაწარმოებსაც ჰყიდდეს და სწავლა-ცოდნასაცავრცელებდეს ხალხში. საზღვარ-გარეთს თავი დავანებოთ, რუსეთშიაც ბევრი მოიპოვება ამხანაგობა (Акціонерныя Общества), მაგრამ თითოეულს მათგანს თავისი დანიშნული საგანი აქვს და მარტო იმას აწარმოებს, მაგალითად, შალეულობისა, თეთრეულისა, აბრეშუმეულისა, შუშეულისა, სპილენძეულობისა, თუჯეულობისა, საპნისა და ათასი სხვა. განა შესაძლებელია ყველა ამის ერთად მოთავსება და წარმოება?

შეიძლება, ბ.ნ ყველგანმყოფს მარტო ტფილისის დეპოს დაარსება სურს და ბ-ნი ნ. ნიკოლაძის უკვდავი სიტყვები სიტყვის მასალად მოიყვანა და, უფრო ბრწყინვალედ რომ დაენახვებინა დეპოს მერმისი, პარიჟის ბონ-მარშეს ამხანაგობისაკენ მიგვითითა, მაგრამ იმას-კი აღარ ვითხულობს ბ-ნი ყველგანმყოფი, თუ როდის დაარსდა ის ამხანაგობა. როცა ბონ-მარშეს ამხანაგობა დაარსდა პარიჟში, მაშინ საფრანგეთში მრეწველობა აყვავებული იყო. თუ-კი მეტი ფული გვექნება, მაშინ, შეიძლება, არც ჩვენ ვსთქვათ უარი მაღაზიაზედ.

დასასრულ სასურველია ვიცოდეთ ამ საგანზედ ბ-ნთ მაჩხანელის და ფ. მახარაძის აზრი. ამათ დიდი შრომა გასწიეს და პრაქტიკულად გამოიცადნენ ამ საქმეში. რასაკვირველია, ისინი პირველ მიზეზად უფულობას დაასახელებენ, მაგრამ მაჩხაანის დეპოს რაც თანხა ჰქონდა, იმ თანხით მაღაზიამ უფრო მეტი სარგებლობა მოიტანა, თუ იმ თანხითვე თუნდ მარტო ქიზიყის მატყლი რომ ეყიდნათ და გაეყიდნათ, ის უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას და ამხანაგობას? თუმცა ბ-ნნი მაჩხანელი და მახარაძე პირველად დიდნი მომხრენი იყვნენ მაღაზიების გამართვისა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იმედია, რაც გამოცდილებამ დაანახვათ, პირუთვნელად გამოსთქვამენ საზოგადოების წინაშე.

ივანე ცეცხლაძე

# რუსეთი

ვარშავის თევზაობის და მეთევზეთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამა წლის სექტემბერს ქ. ვარშავაში გამართულ იქმნას პირველი გამოფენა მეთევზეობისა.

— 7 მარტს უკანასკნელი კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც საშუალო სასწავლებლების პროგრამის შესწავლა აქვს მინდობილი.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში გაუქმებული იქმნება მომრიგებელ მოსამართლისა და მომრიგებელ შუამავლის თანამდებობანი. ამათ ნაცვლად პატარა ქალაქებსა და სოფლებში დანიშნული იქნებიან ერობათა უფროსნი, ხოლო უფრო დიდ ქალაქებისათვის საქალაქო მოსამართლენი. ამ ადგილებზედ უმთავრესად რუსებს დანიშნავენ.

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.**

ინგლისურ გაზეთებს ამბავი მისვლიათ ბლუმფონტენიდგან, რომ პრეტორიაში 2,000 ქალისაგან სამხედრო რაზმი შესდგა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ბრძოლის საქმეებშიო.

— ინგლისის სამხედრო მთავრობის მიერ ბლუმფონტენში ახლად დაყენებულმა გუბერნატორმა პრეტიმენმა, როგორც ვიცით, პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც ემუქრებოდა ორანჟელ ბურებს, რომ იარაღი ჩაგვაბარეთ, თორემ ადგილ-მამულს ჩამოგართმევთო. ზოგიერთ გაზეთების აზრით, ასეთი განკარგულება არღვევს საერთაშორისო უფლებას, რომლითაც, დიდი ხანია, სახელმძღვანელობს ყველა განათლებული სახელმწიფო. როგორც „Debats" ამბობს, მას შემდეგ, რაც ორთავე მოწინააღმდეგე მხარეს მიღებული აქვს ცნობილი კანონი, ასეთი პირობები ერთს მეორესთვის არაოდეს არ დაუდვია ომის გათავებამდისინ. ორანჟეს რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ომის დაწყებამდე, თვითონ ინგლისის მთავრობის მიერ იქმნა აღიარებული მეომარ მხარედ. ინგლისის გუბერნატორის მუქარას მხოლოდ მაშინ ექნებოდა რაიმე სიმართლე, ორანჟელი ბურები რომ უბრალო მეამბოხენი ყოფილიყვნენ, და არა მებრძოლი მხარე, რომელიც თავისის უფლებების დასაცველად ომობს.

— ტრანსვაალელების მუქარა, რომ იოჰანესბურგის მადნებს დავაქცევთო, მოსვენებას არ აძლევს ინგლისის საზოგადოებას და ჟურნალ-გაზეთებს. „Times"-ი ამბობს, მაგალითად, რომ ასეთი ბარბაროსული პროექტი მხოლოდ პარიჟის 1871 წლის კომუნარებს შეჰფეროდა, რომელთაც უწყალოდ დააქციეს ძვირფასი საუნჯით სავსე პარიჟის საუკეთესო შენობანი. და ამისათვის ბურებსაც იგივე დღე დაადგებათ, თუ მართლა გაამართლეს თავიანთი მუქარა, როგორიც კომუნარებს დაადგათო. გერმანულ გაზეთების აზრით, ასეთი შედარება ყოვლად შეუძლებელია. პარიჟის კომუნარები შურის ძიებით და სიბრმალით აქცევდნენ ძეგლებსა და შენობებს, ბურები-კი, თუ მართლა გაამართლეს თავიანთი მუქარა, იმ სიმდიდრის დანარჩუნების საშუალებას მოუსპობენ ინგლისელებს, რომლის გულისთვისაც ეს უკანასკნელები მილიარდებს არ ჰზოგვენ და მუხლამდის სისხლის მორევში არიან დღეს ჩამდგარი. მაგრამ მართლა აზრად აქვსთ ბურებს მადნების დაქცევა, თუ არა, ნამდვილად არავინ იცისო, — დასძენს იგივე გაზეთი. მხოლოდ ერთი შეიძლება სთქვას კაცმა, რომ, როგორცა სჩანს, იმათ გარდაწყვეტილი უნდა ჰქონდეთ უკანასკნელ სისხლის

---

ბას, სიზარმაცეს, ქურდობას და სხ თუ რა სავაგლახო და სატირალი შედეგი მოსდევს ზოგიერთ ვაჟბატონების მიერ ღატაკების მიწა წყლის დასაკუთრებას, დაინახავთ, სხვათა შორის, შემდეგიდგანაც:

ორი შეძლებული ოჯახი ამ სამიოთხი წლის წინად იქამდე ჩამოაჩემდა ორს გაღატაკებულს ს. კ—ს მცხოვრებს, იქამდე შეუჩნდა სატანასავით, რომ მათ თავიანთი სახნავი მიწები სულ ნახევარ ფასად მიჰყიდეს შეძლებულებს. ერთი ამათგანი უმიწა-წყლოდ დარჩენილი, გადასახლდა სხვა მაზრაში იმ აზრით, რომ იქ უფრო კარგად მოვეწყობი და აღებულის ფულით ოფრო კარგს მამულს შევიძენო, მაგრამ უმტყუნა ბედმა. ფულები, ისიც სულ მცირე, შემოეხარჯა აქა-იქ წანწალში და ვერსად ვერ შეიძინა ვერაფერი. იქამდე გაუჭირდა ბოლოს საქმე, რომ ყოველ წლივ, ზამთარი დადგებოდა თუ არა, მოსძებნიდა ისევ თავისს სამშობლო სოფელს, ხან ერთ მეზობელთან შეაფარებდა თავს თავისის წვრილშვილით, ხან მეორესთან, და ცოლ-ქმარის ხელობად ბოლოს მათხოვრობა-ღა გახდა. მეორე ღატაკი, რომელსაც გაყიდული მიწების ზოგი ფული დღემდისაც არ მიუღია, ჰკუაზედ შეიშალა. ეხლა ეს საწყალი ხშირად გაიძახის ამ სიტყვებს (მე ჩემის ყურით მრავალჯელ გამიგონია) მა...მა, მომატყუილეს, ეუბნებოდნენ იქით (მყიდველს), მოუმატე, ბარნაბე, მოუმატე, ბარნაბე! გამაგიჟეს, მიწები წამართვეს...

მიწის ძვრამ რომ მრავალი სოფელი დაანგრია, მრავალი ხალხი თავიანთი სარჩო-საბადებელით იმსხვერპლა და მრავალიც დარჩა უბინაოდ, და ყველა კუთხიდგან, ეროვნების განურჩევლად, ყველამ თავისი ხელი გამოშალა, ქრისტეს მცნება შეასრულა, აქ თვით ჯავახეთში კი ბევრს სოფელში, თავიანთი მეზობელი — ჯავახ-სომხების უბედური მდგომარეობა ისე ესმოდათ, როგორც შორს მომხდარი ამბავი, და იოტის ოდენა შემწეობა, დახმარება და გაჭირვებული მოძმეს საშველად ხელის გაწვდენაც არავის მოუწადინებია. ამ ნაირ სამადლო საქმეში ბევრს აქაურს ერთ გროშსაც ვერ ამოაღებინებ, მაგრამ აბა სოფელში რომელსამე ღამეს მოვიდეს მომღერალი „აშუღი" (მეთარე), რომელიც ათას ნაირი წარა მარა ლექსებით და ზღაპარ-ჰაქიებით ართობს ხალხს! ეს ვაჟბატონები მაშინვე შეიყრებიან, უსმენენ თითქმის გათენებამდე და მეორე დღეს ათი-ოც კოდობით უკრებენ პურს, ან ქერს. თუ გაახსენებ და ეტყვი ვისმეს—ამა და ამ კეთილ საქმისათვის საჭიროა ფული, ან პურით შეწევნაო, გიპასუხებს: მე თითონ ვარ სამადლო, სხვის მადლისთვის სადა მცალიანო.

მოყვრის ასეთი არა სიყვარული, შეუწევნელობა წარმოსდგება განუვითარებლობის და გაუნათლებლობის მიზეზით. უეჭველად ეს ასეა, თორემ ჯავახელი გლეხი, გონება განუვითარებელი რომ არ იყოს, ნასწავლის მკურნალის ნაცვლად, თავის გაჭირვების ჟამს არ მიჰმართავდა და ბ არ მიჰმართავს მატყუარა მოლა-ტირაცოებს, რომლებიც ათასნაირის მაცდურობითა და ეშმაკობით უბმენ უგუნურ ჯავახს თვალებს და სტყუებენ საფასურს, მაგრამ მისს ავადმყოფს-კი არავითარი შეღავათი შემსუბუქება არ ეტყობა. ვერას გზით ვერ დააჯერებ აქაურს, რომ ეს თათრის მოლები და სომხის ტირაცოები (ზოგიერთ ამ უკანასკნელთაგანს, სამწუხაროდ, დიდი პატივი, ნდობა და სიყვარული ხალხისა დაუმსახურებია) არიან მათი მომტყუებელნი, და არა მკურნალნი და საქმის მცოდნე ადამიანები. მიწის ძვრისაგან დანგრეულ სოფ. სამსრებში არის ერთი მოხუცი ტირაცო, რომელსაც დიდად სახელი აქვს გათქმული მკითხაობისა. ავადმყოფთან მისვლის უმალ, ის იღებს უბიდგან ბაღდადში გამოხვეულს რაღაცა წიგნს, იწერს პირჯვარს, ჰკოცნის წიგნს, უახლოვდება ავადმყოფს და იწყებს კითხვას ისეთი შემაზარის—მოსაწყენის ხმით, რომ მსმენელს ტანში ჟრუანტელი დაუვლის. ამასთანავე ეს მატყუარა მეტად ლოთია; ჯერ თუ კარგად არ გამოთვრა, არაყით ტვინი არ გაიხურა, წიგნის კითხვას არ დაიწყებს. შემდეგ წიგნის კითხვისა, ავადმყოფს უწერს მთელ თაბახ ქაღალდებზედ რაღაცა ეგრეთ-წოდებულ „ნუსხებს", რომლებსაც ჰკეცავს სამ-კუთხედ, ახვევს გასამთლულ (მუშანბა) ჩითში, ჰკერავს და ზონარს აბამს. ასე გამზადებულ „ნუსხას", რომელიც ბევრჯერ ათი-ხუთის ცალისაგან შესდგება, ჩამოჰკიდებს დასნეულებულს, ვითომდა მავნე სულების გასაფრთხობად და აგრეთვე იმიტომ, რომ ეს სულები-ეშმაკები—აღარ მიეკარნენ სნეულსო. ყველა ამას გულ-დაჯერებით შესცქერის ხეპრე ჯავახი. ამ მიწის ძვრის დროსაც-კი ს. „სამსრელი ტირაცო",—(ასრე უწოდებენ მას), რომელსაც აგრეთვე დაენგრა სახლ-კარი და დაელუპა, თუ რაიმე ჰქონდა, მოსულიყო აქაურ ერთს ქართველების სოფელში (ავადმყოფის პატრონს მოეყვანა) და მკითხაობდა. იქამდე მთვრალი იყო არაყით, რომ სიარულის დროს აქა-იქ იჩეხებოდა. ამნაირივე ერთი ტირაცო არის სოფ. ზაკვში, რომელსაც არა ნაკლები ნდობა და პატივი აქვს მოპოვებული.

ხალხს რომ ჰკითხო, რითი ჰკურნავენ ტირაცოები ავადმყოფებსო, გიპასუხებენ „სახარებით, სამოციქულოს და წმინდანების წიგნების კითხვითო". ჯავახეთში ამათ მოქმედებაში ისე არიან დაჯერებული, როგორც ერთ რომელიმე დასაბუთებულ საქმეში, და ჰგონიათ, რომ ტირაცოებს თავიანთი წმინდა (?) კაცობით, საქმით და ყოფაქცევით ღმერთსა და წმინდანებზედ გავლენა აქვთო.

თავისუფალი კორესპონდენტი

წვეთამდინ ებრძოლონ მტერსო.—საფრანგეთის გაზეთების ერთი ნაწილი უწონებს ბურებს მადნების დაქცევის პროექტს; მეორე ნაწილი თუმცა იმ აზრის არის, რომ ბურებს უფლება აქვთ დააქციონ მადნებიო, მაგრამ ამტკიცებს, რომ ეს მნელი საქმეა და სარგებლობასაც ვერავითარს მოუტანთო.

— ზოგიერთი გაზეთები იმ აზრის არიან, რომ ორანჟელმა ბურებმა უკვე გარდასწყვიტეს მტრის წინაშე ქედი მოიხარონო. „Daily Mail“-ის ბლუმფონტენელ კორესპონდენტის სიტყვით, ბლუმფონტენის პოლიციის წინ ბურების მთელი გროვა სდგას და იარაღს აძლევენ ინგლისელების მოხელეთ. მარტო ერთ დღეს 2,500 თოფი ჩააბარეს ინგლისელებმა ბურებისაგან. ვინაც იარაღზე ხელს იღებს, ამასთანავე ხელწერილს იძლევა და ფიცსა სდებს, რომ ბრიტანიის მთავრობას არ ეწინააღმდეგო ახლანდელ ომის დროს და მის მტერს არ მოვეხმაროთო. წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯილ ვიქმნა სამხედრო დროის კანონითო.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ამერიკული გაზეთები გადმოგვცემენ, ორს იქაურს პასტორს უცნაური გადასახადი შემოუღიათ. ერთს ამათგანს მეტად ღარიბი ეკკლესია ჰქონია. ამ ეკკლესიის გასამშვენებლად და მოსაწყობად, პასტორს აუღია და ყმაწვილ კაცებზედ გადასახადი დაუწესებია: ის ყმაწვილი კაცი,—რასაკვირველია, ამ პასტორის მრევლისა,—რომელიც სადარბაზოდ ყმაწვილ ქალთან მივიდოდა, ეკკლესიის სასარგებლოდ 10 ცენტს იხდიდა. ამ გარდასახადის წყალობით პასტორს მალე აუარებელი ფული შეუგროვებია და ეკკლესიაც გაუმშვენებია; ყმაწვილი კაცები სიამოვნებით იხდიდნენ თურმე ამ გადასახადს. მეორე პასტორს კიდევ განუზრახავს ახალის ეკკლესიის აგება და იმასაც პირველის ხერხისათვის მიუმართავს. ამ პასტორს შემდეგი ტარიფი დაუწესებია: ახ ლგაზდა ქალთან საღამოთი სადარბაზოდ მისვლა ჰღირს 10 ცენტად, დღისით—5 ც., დილით—4 ც.; ხელის ჩამორთმევა ჰღირს—2 ც., ახალგაზდა ქალის კოცნა დედის თანადასწრებით—17 ც. ეტლით გასეირნება ქალთან—12 ც. და სხვა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ გადასახადების მოკრება მთელ ბუჰალტერიასა და ადმინისტრაციას თხოულობს. ამ შემთხვევაში პასტორი მეტად მოხერხებულად მოქცეულა. უპირველეს ყოვლისა შეუდგენია სიები თავისის მრევლის ყმაწვილ კაცებისა და ქალებისა; შემდეგ დაუბეჭდვნებია განსაკუთრებული მარკები და ათ-ათი თუ ოც-ოცი დაურიგებია ყმაწვილ კაცებისათვის. ყმაწვილმა კაცმა აქედგან უნდა გადასცეს ხოლმე ქალს თითო მარკა სადარბაზოდ მისვლის, ხელის ჩამორთმევის, ეტლით გასეირნების, ან კოცნის დროს. თვის გასულს ქალები წარუდგენენ პასტორს მიღებულ მარკებს და ამასთან იმის სიასაც, რომელ ყმაწვილ კაცისაგან რამდენი მარკაა მიღებული. ამისდა მიხედვით პასტორი შეუდგება გადასახადის მოკრებას ყმაწვილ კაცთა შორის პასტორს სრული იმედი აქვს თურმე, რომ ახალგაზდა ქალები არ მოატყუებენ და ყველა ყმაწვილ კაცს, ვინც-კი იმათთან მივა, ან ხელს ჩამოართმევს, ან გაისეირნებს, მარკას უეჭველად გამოართმევენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მარტი

**პეტერბურგი.** 13 მარტს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ნიკოლაევსკის ინჟინერთა სასწავლებელში მიბრძანდნენ.

**ლონდონი.** „Morning Post“-ს აწუყებენ კროკოდილპულიდგან 6 მარტს: დღეს ბურები ზარბაზნებს ესროდნენ მეფკინგს. 29 თებერვალს და 1 მარტს მცირე მზვერავმა რაზმმა რამდენიმე ბური მოჰკლა და მათი ცხენები და თოფები დაინარჩუნა. ინგლისელებმა 12 კაცამდე დაჰკარგეს.

„Daily Telegraph“-ს დეპეშით ატყობინებენ კიმბერლეიდგან 12 მარტს: „აქ მოყვანილმა ტყვეებმა სთქვეს, რომ ცხენოსანი ჯარი შევიდა ტრანსვაალში და კრისტიანამდის 18 მილის მანძილზე მიახწიაო“.

„Times“-ს დეპეშით აუწყებენ რეკსვილიდგან 11 მარტს: „ოლივიე მოდის ლედი-ბრანდიდან ძლიერის ჯარით და 15 ზარბაზნით. ბაზუტოლანდის ჩრდილოეთ მხარეს ბურების დიდძალი ურმები მოჩანდა, კლოკოლანისაკენ მიმავალი. შესაძლებელია, ფრენჩს ხელში ჩაუვარდეს იგინი“.

**ოლდენბურგი.** ახალ დაბადებული პრინცი გარდაიცვალა ღამით.

**კაპშტადტი.** გუშინ ღამით გრევსტრიტში ძლიერი ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც მრავალი შენობა იმსხვერპლა; მთავრობის დაწესებულებანი ძლივს გადაარჩინეს. არხივი გადატანილ იქნა პარლამენტის შენობაში, მაგრამ ძლიერ დაზიანდა ცეცხლისაგან. ცეცხლი სამს საათს მძვინვარებდა.

14 მარტი

**ლონდონი.** „Times“-ს აუწყებენ ბლუმფონტენიდგან 12 მარტს: ჯარის საკმაოდ დიდხანს დარჩენა ბლუმფონტენში გამოიწვია დაჭრილ ოფიცრების მდგომარეობამ. სამხედრო მთავრობა მშვენივრად იქცევა, მაგრამ მომხდარმა გამოძიებამ აღმოაჩინა საჭიროება სიფრთხილით მოყრობისა იმათთან, რომელთაც თავიანთი თავი ინგლისელების მომხრედ ილიარეს.

**პარიჟი.** პალატა. ვალდეკმა შეიწყნარა ქერვილ-რეაშის ფორმულა, ნდობა გამოუცხადოს პალატამ მთავრობას მშვიდობის ნობის აღდგენისა და მართლმსაჯულების თვისო. ფორმულა შეწყნარებულ იქმნა 46 ხმის უმეტესობით.

**პარიჟი.** „Liberte“ ლაპარაკობსრა დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის დანიშვნის შესახებ სავაჭრო ზღვაოსნობის საბჭოს თავმჯდომარედ, აცხადებს, რომ ეს შესამჩნევი მოვლენა ახალს ხანას დაჰბადებს რუსეთის სავაჭრო ფლოტის გაძლიერების საქმეშიო. როგორც ერთი გამოჩენილი აფიცერი სამხედრო ფლოტისა,—ამბობს გაზეთი,—როგორც მცოდნე ტეხნიკოსი და როგორც წევრი საიმპერატორო გვარეულობისა, ახალი თავმჯდომარე წინ წასწევს ძლიერ სავაჭრო ფლოტის გაძლიერების საქმეს, რასაც სხვა ვერავინ შესძლებდაო.

**კაპშტადტი.** დღეს მილნერი ალივანპორტიდგან ბეტულიაში წავიდა.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ გაიგო, რომ სამედიატორო სასამართლოს განჩინება დელაგოას ნავთ-სადგურის შესახებ შუა აპრილამდის არ გამოცხადდებაო.

**ბარკლიეესტი.** ბურების 400 კაცისაგან შემდგარმა რაზმმა ისევ დაიჭირა პაპკიული და გერბერტის ოლქის მეამბოხენი დაიყოლია ბურებს მიმხრობოდნენ. ამ ოლქში გახშირებული ძარცვა-გლეჯაა.

**კიევი.** სხვა და-სხვა მაზრიდგან ცნობები მოდის, რომ 21 თებერვალს ქარ-ბუქისაგან დაღუპულ კაცების გვამი აღმოჩნდაო. კანევსკისა, ლიპოვეცკისა და რადომილის მაზრებში უპოვნიათ 15 გაყინული კაცი; ეჭვი აქვთ, რომ კიდევ აღმოჩნდებიან დაღუპულებიო. ქარბუქის დროსვე, გუბერნიის ჩრდილოეთ მხარეს ძლიერი წვიმა იყო ჩერკასკისა და ჩიგირინსკის მაზრებში; რამდენიმე ათს სოფელში წყალი სდგას. სმელში წყლის გადავლით 200,000 მანეთის ზარალი მიეცათ მცხოვრებთ.

### თამარ მეფის სურათი „ბერთუბანში“.

დავით გარესჯელის უდაბნოს იქით აღმოსავლეთ-სამხრეთით, 10 ვერსის მანძილზედ, გაშენებულია ძველის დროის დიდებული უდაბნო „ბერთ-უბანად“ წოდებული, რომელიც გაუქმებულია დღეს და იქ წირვა-ლოცვა აღარ სრულდება. ამ უდაბნოს საკრებულო ეკკლესიაში, რომელიც გამოკვეთილია კლდისაგან, და რომლის სიგრძე იქნება ათი საჟენი და სიგანეც რვა საჟენი, მოიპოვება მრავალი მხატვრობა ძველის დროისა, კედელზედ დახატული მშვენიერის ხელოვნურის ხუცურის ზედ წარწერებით. ეს მხატვრობა უნდა ეკუთვნოდეს მეხუთმეტე საუკუნეს, ან ცოტა შემდეგს. სხვათა შორის ჩრდილოეთით დახატულია თამარ მეფე და გიორგი, ძე თამარისა, რომელიც გვერდით უდგას თამარს. შემდეგი წარწერა აქვს: „მეფეთ-მეფე თამარ. ძე თამარისა მეფეთ-მეფე გიორგი“. ეს წარწერა ადვილად წასაკითხია. პირის პირ თამარს უყურებს საჲეცელზედ მჯდომი ღვთის-მშობელი, მაცხოვრის მტვირთველი. ყ-დ წმიდა და მაცხოვარი ჯვარსა ჰსახავენ თამარს. თამარი და გიორგი მთელის ტანით არიან დახატულნი, ხოლო ღვთის-მშობელი (რომელიც მუთაქაზეა დამჯდარი) მომცრო ტანით. ეს მხატვრობა მით უფრო შესანიშნავია, რომ ჯერ არსად გამოჩენილა ასე ძველი მხატვრობა, რომ ღვთის-მშობელი ჯვარსა ჰსახავდეს თამარს, როგორც აქ. გარდა ამისა, სადაც მოიპოვება თამარის ხატი, თვინიერ ამ უდაბნოისა, თითქმის ყველგან თამართან ერთად დახატულია გიორგიც და დავით სოსლანიც, მეუღლე თამარისა; აქ-კი დავით სოსლანი არ არის. სასურველია, ეს ძველი მხატვრობა, ვიდრე მიეფარებოდეს მხედველობისაგან, გადაღებულ იქმნას ფოტოგრაფიით მაინც.

მორჩილი რაჟდენ ბარამიძე

### წერილი რედაქციის მიმართ.

განვიზრახე-რა აგება სკოლის შენობისა ჩემდამო რწმუნებულის წყემის წმიდის ბარბარეს ეკკლესიასთან, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, მივმართე თხოვნით ნათესავებს და ნაცნობებს, რათა აღმოეჩინათ ჩემთვის ნივთიერი შემწეობა; თხოვნა ჩემი შეწყნარებულ იქმნა: ბ-ბმა ალექსანდრე რატიანმა, სპირიდონ ნარაკიძემ, ყარამან ჯავახიამ და ალექსანდრე მელიამ აღმომიჩინეს დიდი შემწეობა როგორც თავიანთი საკუთრებიდამ, ისე სხვებისაგან ფულების მოგროვებით, რისთვისაც მათ მე და სრულიად ჩემი სამრევლო შევწირავთ ულრმესს მადლობას და აგრეთვე სხვა შემომწირველებსაც დიდათ ვმადლობთ.

სია შემომწირველთა: ალექსანდრე რატიანმა 10 მანეთი, თეიმურაზ რატიანმა 10 მ., ლევან რატიანმა 2 მ., ანეტა რატიანისამ 1 მან., გიორგი ჩიქოვანმა 2 მ., ალექსანდრე ინაიშვილმა 2 მ., საჩინო თურქიამ 2 მ., ილიკო გერსამიამ 1 მ., ალექსანდრე გეგეჭკორმა 1 მ., ივანე გეგეჭკორმა 1 მ., იოსებ ლოლუამ 1 მ., ბესარიონ გვალიამ 1 მ., პავლე გუგუშვილმა 2 მ, ალექსანდრე ზეფიშვილმა 1 მ., ილარიონ მაღლაკელიძემ 1 მ., გიორგი ცხომელიძემ 50 კაპ., სოლომონ თევზაიამ 1 მ., სამსონ ბაქრაძემ 50 კაპ., არსენ კიკაბიძემ 25 კაპ., ილიკო შავლაძემ 25 კაპ., ბაგრატ ბერულავამ 1 მ., ევნატე ქვანიამ 1 მ., ანდრი გოთოშიამ 1 მ., ლუკა თოფურიძემ 50 კაპ., მარკოზ მიმინოშვილმა 3 მ., დიმიტრი ღარცვიამ 50 კაპ., ალექსანდრე ნადარეიშვილმა 1 მ., იონა გაბუნიამ 1 მ., ვენედიქტე მღვდელმონაზონმა 50 კაპ., მიხა ლაკრიბაიამ 50 კაპ.. დიმიტრი ჭავჭანიძემ 1 მ., ზაქარია თურქიამ 5 მან., სამსონ ალანიამ 1 მ., ევგენი თურქიამ 1 მ., იოსებ ალმაზოვმა 1 მ., კოსტანტინე კონწურეიშვილმა 50 კაპ., კარპეზი წეროძემ 1 მ., ბესარიონ გაბუნიამ 50 კაპ., კოწია შოშიტაშვილმა 1 მ., ვასილ გოგრიჩიძემ 50 კაპ., პორფირე ცინცაძემ 50 კაპ., ბადურა ანუამ 2 მ., ელიზბარ კაჭარავამ 1 მ., ნიკოლოზ ჯანჯღავამ 1 მ., ანტონ გოჩელეიშვილმა 1 მ., ბესარიონ კოპეიშვილმა 1 მ., ანთიმოზ ჯუღელმა 1 მ., პავლე კეთილაძემ 1 მ., საჩინო იოსელიანმა 5 მ., სერაპიონ მიმინოშვილმა 1 მ., ალექსი სიჭინავამ 1 მ., არჩილ ჭითავამ 50 კაპ., ხრისტო მავროპულომ 50 კ., გიორგი ურიდიამ 50 კ., ნესტორ მასხარაშვილმა 1 მ., როსტომ კარანაძემ 50 კ., დავით დალაქიშვილმა 1 მ., თედორე სახოკიამ 1 მ., გიორგი ბარკალაიამ 1 მ, ვასილ ცხომარიამ 50 კ., ალექსანდრე გობეჩიამ 50 კ., კოწია შელიამ 50 კ., ლაზარე თურქიამ 1 მ., პავლე კალანდარიშვილმა 1 მ., ალექსი განგიამ 1 მ., თეიმურაზ გაბუნიამ 1 მ., პეტრე ბარკალაიას მემკვიდრეთაგან 12 მ. 60 კაპ., თევდორე რატიამ 3 მ., ბახვაია რატიამ 5 მ., ალათი რატიანის ასულმა 1 მ., მოსე გაგუამ 50 კ., იაკობ ბახტაძემ 20 კ., ტაგუ ხორავამ 50 კ., ვასილ სანაძემ 50 კ., კინტირია არჯევანიძემ 1 მ., სპირიდონ ჭანტურაიამ 1 მ., ალექსანდრე გიგინეიშვილმა 50 კ., ტარიელ კორჩხაძემ 50 კ., ამბაკო მდინარაძემ 30 კ., ანდრია ყუჯავამ 20 კ., ეგნატე ნოდიამ 20 კ., პავლე კაკავამ 40 კ., გვადა ჯოლობუამ 50 კ., მიხაილ გვაზავამ 20 კ., მაკრინა მარღანიას ასულმა 50 კ., დიმიტრი ქაჩიბაიამ 20 კ., მიხაილ ბუაძემ 50 კ., იესე ბერაიამ 50 კ., ანტონ ბარკალაიამ 1 მ., ყირიმ ბერიძემ 55 კაპ., კარახასან-ოღლიმ 2 მ., პანდარო ივანიდისმა 2 მ., მემედ-ეფენდი-მიდილ-ოღლმა 2 მ., გრიგორი კვირკველიამ 1 მ., პილიდის კანტორიდამ 2 მ., ქიშვარდი კეკელიძემ 20 კ., გიორგი ცაგარელმა 20 კ., ბუთუ გვასალიამ 1 მ., ივანე ტაბიძემ 1 მ., ჯამულეთი ფარცვანიამ 1 მ., სამსონ გობეჩიამ 20 კ., ვარლამ მომკელიძემ 20 კ., დათა რაზმაძემ 20 კ., ხუსეინ ბაბაა ახმეტ-ოღლიმ 20 კ., ომერ დარა-მუსტაფამ 20 კ, ხუსეინ ბუიქ-ოღლიმ 25 კ., მემედ ესაოღლიმ 25 კ., ომერი აჭარალიმ 50 კ., მემედ აჭარალ-ოღლიმ 50 კ., ფართხუ მამფორიამ 20 კ., თევდორე ბალჩანძემ 1 მ., პავლე ჯიჯავაძემ 50 კ., გრიგოლ სარიძემ 50 კ., ნიკო მინჯიამ 2 მ., კოწია შარვაშიძემ 1 მ., ბესარიონ დგებუაძემ 1 მ., ვასილ შენგელიამ 50 კ., ერმილე გეგიაძემ 50 კ., პროკოპი საბაშვილმა 50 კ., პავლე გალდავამ 20 კ., თედო ქაჯაიამ 50 კ., მიხაილ ურიდიამ 50 კ., ბახვა ჩოჩიამ 50 კ., ტაია გვაზავამ 50 კ., ივანე ჟორჟოლიანმა 20 კაპ., პახვალა მინჯიამ 10 კაპ., მიხაილ ფიფიამ 20 კაპ., მარკოზ კაკავამ 30 კაპ., ჯათუ შონიამ 10 კაპ., ივანე ბახტაძემ 50 კაპ., სილოვან ტაბიძემ 20 კაპ., პავლე ვეკუამ 50 კაპ., მიხაკო მელაძემ 20 კაპ., პავლე საჯაიამ 50 კაპ., დადუ ნარაკიძისამ 2 მ. 50 კაპ., ანეტა დავითაიასამ 2 მ. 50 კ., ფარნადა ყარამან ჯავახიებმა 5 მ., ალექსანდრე მელიამ 10 მ., ბეგლარ მელიამ 10 მ., ნიკო გაბუნიამ 5 მ., ილია მელიამ 5 მ., ბუხუტი მელიამ 5 მ., ლავრენტი მელიამ 5 მ., აქვსენტი გამსახურდიამ 1 მ., ნიკო გეგენავამ 2 მ., ერისტო ლაბარტყავამ 1 მ., ესტატე რატიანმა 5 მან., გიგო ჯალაღონიამ 3 მან., ივანე ცხაკაიამ 50 კ., დავით ლარიამ 30 კ., ნესტორ ბარაბაძემ 20 კ., ნესტორ კიკაბიძემ 1 მ., ბეჟან ასათიანმა 50 კ., ალექსანდრე ახვლედიანმა 1 მ., ილარიონ ლორთქიფანიძემ 20 კ., კარპე შენგელიამ 1 მან., გლახუა კემულარიამ 1 მ., ასლან წირღვავამ 1 მ., ფარნა გაბუნიამ 2 მ., კოსტანტინე ჩემიამ 50 კ., ნიკოლოზ ჩიქოვანმა 1 მ.. ბესარიონ გვახარიამ 1 მ., იონა ჭითავამ 50 კ., არსანა ფოჩხუამ 25 კ., ანტონ გაბუნიამ 40 კ., ელიოზ ბზიკოვმა 50 კ., საბა ციბაძემ 50 კ., ბესარიონ გაბუნიამ 1 მ., ვასილ ბეჟანეიშვილმა 50 კ., სესია სანიკიძემ 50 კ., სერგეი ქისიშოვმა 30 კ., კაცია ადანიამ 1 მ., ტარიელ გაბუნიამ 40 კ., მარგალიტა არჯევანიძისამ 1 მ., ევდოკი ლეკვეიშვილისამ 1 მ., სიმონ გუგუშვილმა 50 კ., შაქრო ფოფხაძემ 50 კ., მიტროფანე კერძაიამ 50 კ., ივანე ჯალაღონიამ 3 მ.. კოწია და დარისპან ჯალაღონიებმა 10 მ., გიორგი ფოფურიძემ 50 კ., ალექსანდრე რატიანმა 5 მ. სტეფანე გოგინავამ 50 კ., ვასილ თოფურიძემ 1 მან., დათა გვაზავამ 1 მან., არჩილ მელაძემ 20 კაპ., გრიგოლ ნემსაძემ 20 კაპ., ივანე ჟუშკარიანმა 10 კაპ. სულ 252 მან., 90 კაპ.

გამგე სკოლისა მღვდელი
არსენ ჭილაგანიძე


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს** საყოველთაოდ, რომ **28 მარტს 1900 წელს მოხდება საჯარო ვაჭრობა**—სიტყვიერად და დაბეჭდილ კონვერტებით,—ქალაქის (აპესალომისეურის) **ორ-სართულიან აგარაკის გასასყიდად** ეზოთი და მიწით, ზომით 203 ოთხ-კ. საჟენი. აგარაკი ბორჯომშია, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. აგარაკთან ერთად იყიდება ყოველივე მოძრავი ქონება, რაც იქ არის: ავეჯეულობა, სამზარეულო, საჩაიე და სხვა ნივთები. მიწა აგარაკს დათმობილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 22 დეკემბერს 1851 წელს დამტკიცებულ ბორჯომში აგარაკისთვის მიწით სარგებლობის შესახებ წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობები გამგეობის კანცელარიაში გაისინჯოს ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 10-დგან 2 საათამდე.

დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 28 მარტამდე შუადღის 12 საათამდე; კონვერტში უნდა იყოს: გირაო 2000 მანეთი, სრული სახელი, გვარი, მამის სახელი და ადრესი იმისი, ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს და უმაღლესი ფასი, რომლის გაღებასაც ისა ჰკისრულობს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების იმ მსურველთ ვინც ქალაქის გარეთ სცხოვრობენ მოთხოვნილებისამებრ შეიძლება პირობები გაეგზავნოს გასაცნობად.

(5—6.—5)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ 15 მარტს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობაშივე თანადასწრებით მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის წყლის მილის გამგისათვის ავჭალაში სახლის აგებისა და საცხოვრებელ სახლის შეკეთების საქმე, სულ 5653 მანეთისა და 16 კაპეიკისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმე დღეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ. 14 Марта 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე